



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
გრაფიკული დიზანი

კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 01.04.2022/02.04.2022

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
30.05.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი Graphic Design
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში Bachelor of Fine Arts in Graphic Design
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლიპარტელიანი - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შოთა დოგრაშვილი - სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ოჩხიკიძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კავკასიის უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარდგენილი იყოს ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **გრაფიკული დიზაინი**. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა მომზადდა ინსტიტუციის აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ დაწესებულების ადმინისტრაცია, სტუდენტები მომიჯნავე დარგებიდან, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას წინ უსწრებდა გარე ექსპერტიზა და ბაზრის მოკვლევის შედეგები. დაწესებულებამ გააანალიზა დარგობრივი საერთაშორისო პრაქტიკა, მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი ინიცირებული კურიკულუმის მიმართ. საგანმანათლებლო პროგრამას არა აქვს ხანგრძლივი ტრადიცია, შესაბამისად აკადემიური პერსონალის ინტერესებში შედიოდა მოსამზადებელ პერიოდში ჩაეტარებინა ზუსტი მოკვლევისა და შედარების პროცესი, რაც მათ გაიყვანდა რეალურ შედეგსა და ქართული საგანმანათლებლო ბაზრისათვის მეტწილად მისადაგებულ შედეგზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბერის №206/ნ ბრძანებით დამტკიცდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესი. ბრძანება ითვალისწინებს აღნიშნულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობებს, ასევე, პროგრამის კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების პრინციპებს. არანაკლებ 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში. გამონაკლისის სახით, არანაკლებ 180 კრედიტიანი სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ასევე შესაძლებელია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, ამ შემთხვევაში პროგრამის აგების წესს ადგენს ზემოთ მოცემული №206/ნ ბრძანება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უსდ-მ წარმოადგინა 180 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია მოამზადოს გრაფიკული დიზაინის სფეროში მოღვაწე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტები, ამრიგად დაწესებულება პროგრამას განიხილავს სახელოვნებო-შემოქმედებით ჭრილში. ზემოთ აღწერილი სასტარტო ვითარება საგანმანათლებლო პროგრამას კონკურენტულად მნიშვნელოვანს ხდის შრომის ბაზარზე, რაც რისკიანი და საქმიანი განაცხადია ინსტიტუციის მხრიდან, ვინაიდან ამ ეტაპზე თუ კი რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს მსაგავსი საგანმანათლებლო პროგრამა, ის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე 240 კრედიტმოცულობისაა.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 მარტის ბრძანების (MES 622 0000245556) თანახმად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც პირველ აპრილს განახორციელა საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის, ასევე

საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერება, დაზუსტდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუები შედგა 2 აპრილს დისტაციურად (zoom-ის ელექტრონულ პლატფორმაზე) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების მეშვეობით პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად საჭირო მონაცემების შეგროვების მიზნით.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი დანართი დოკუმენტების პორტფოლიოთი, რომლის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სამუშაო სტრატეგია და დეტალურად დაგეგმა ვიზიტის მიმდინარეობის დღის წესრიგი.

ვიზიტის პროცესი წარიმართა წინასწარ შეიმუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ინტერვიუები შედგა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

ინტერვიუების ფარგლებში დაზუსტდა ცალკეული ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, განხორციელების პროცესებისა და კონკრეტული პროცედურების, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების დაზუსტების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო ცალკეული დოკუმენტები, რომელიც დამატებით იქნა გამოწვეული ინსტიტუციიდან.

ინტერვიუები წარიმართა ჯანსაღი, აკადემიური დებატების ფორმატში, რამაც ექსპერტთა კორპუსს მისცა დამატებითი მტკიცებულებები და განმარტებები, რაც შედგომში საფუძვლად დაედო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც წარმოდგენილი იქნება წინამდებარე პროექტის ფარგლებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

რეკომენდაციები

კომპონენტი: 1.1

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა (პროფილური კომპანების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

კომპონენტი: 1.2

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.

კომპონენტი: 2.1

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.

კომპონენტი: 2.2

- რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების სწავლება.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის

უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. საგანი „კომპოზიცია“ კორექტირდეს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს და შესწორდეს კურსების პრერეკვიზიტები.

კომპონენტი: 2.3

- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
- რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.

კომპონენტი: 2.5

- გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

კომპონენტი: 4.1

- რეკომენდებულია, დარგობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

კომპონენტი: 5.1

- მნიშვნელოვანია სტუდენტთა მონაწილეობა თვითშეფასების პროცესში მიუედავად იმისა პროგრამა გადის აკრედიტაციისა თუ რეაკრედიტაციის პროცესს, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ქმედით მონაწილეობას უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებასა და მაქსიმალურ გაზიარებაში;
- თვითშეფასების ამგარიშის შემუშავების პროცესში პრიორიტეტის მიენიჭოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობას;

კომპონენტი: 5.2

- შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარე შეფასების მეთოდოლოგია და გარე ექსპერტთათვის მიწოდებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სრული პორტფოლიო (პროგრამა, სასწავლო გეგმა, სილაბუსები), რათა ექსპერტმა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი: 1.1

- სასურველია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზნების ნაწილში აისახოს შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა აქტივობების ფარგლებში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების წარმოჩენა და განმტკიცება.
- სასურველია, პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებაში.

კომპონენტი: 1.2

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის არსებობა, რითიც ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება, განვითარება და სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია პროგრამას ჰქონდეს პროფილური მემორანდუმები, აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად;
- დასკვნით სადიპლომო პროექტის სილაბუსში ჩამოყალიბდეს პროექტის აღწერა, ან შეიქმნას თანდართული დოკუმენტი/გაიდლაინი, გამოყენებული იყოს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია.

კომპონენტი: 2.2

- სასურველია, „ფოტოგრაფიას“, როგორც ვიზუალური აზროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს კურსს და „სამომხმარებლო ინტერფეისს“, როგორც ვებ და აპლიკაციის დიზაინისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭრას, შეეცვალოს სტატუსი არჩევითიდან ძირითადზე;
- სასურველია, მოხდეს რიგი სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. უმჯობესია, ხაზვა, ინტერიერის დიზაინი, CAD პროგრამებთან ერთად ქმნიდეს

არჩევით მოდულს გრაფიკული დიზაინერისთვის დამატებითი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ასევე, cinema4D III და IV, პერსონაჟის ანიმირებას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევითი საგნების სტატუსი და სტუდენტს, ინტერესის შემთხვევაში, საშუალება ექნება გაიღრმავოს ცოდნა ანიმაციის მიმართულებით.

კომპონენტი: 2.3

- სასურველია, სილაბუსებში ყურადღება ექცეოდეს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებას;
- სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში ცალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობის საკითხი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში (მაგალითად „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“).

კომპონენტი: 2.4

- სასურველია, დაბალანსდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემუშავებელი სასწავლო კურსების თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამაში;
- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდეს სტაჟირების განხორციელების ობიექტების მიზანმიმართული შერჩევა;
- სასურველია, დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით გაძლიერდეს კურიკულუმი შესაბამისი სასწავლო კურსებით (მსოფლიო და თანამედროვე ხელოვნება, დარგობრივი საგნები).

კომპონენტი: 2.6

- სასურველია, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვროს დავალების ფორმატი (ტექნიკური ან შემოქმედებითი) და ასევე გონივრული დრო დავალების შესრულებისთვის;
- სასურველია, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი უკეთ იყოს გაცნობიერებული საკუთარი სასწავლო კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და სპეციფიკაში.

კომპონენტი: 3.1

- სასურველია სტუდენტური პროექტების ხელშეწყობისა და დაფინანსების პროგრამების გაძლიერება;
- სასურველია სტუდენტებისა და ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინირებული მუშაობა;
- სასურველია დარგზე ორიენტირებული პრაქტიკის ობიექტების მოძიება.

კომპონენტი: 4.1

- სასურველია, პროგრამამ შემდგომ ეტაპზე, განვითარების პროცესში შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი პროექტები;
- სასურველია, პროგრამის პორტფოლიოს დანართები შესაბამისობაში იყოს თვითშეფასების ანგარიშთან და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.

კომპონენტი: 4.3

- სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გრაფიკული დიზაინის პროფესიული ლიტერატურით გამდიდრება.

კომპონენტი: 4.4

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების ხარჯი;
- სასურველია, მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად.

კომპონენტი: 5.1

- სასურველია ხარისხის მარეგულირებელ დოკუმენტში წინ წამოიწიოს პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში აკადემიური პერსონალის მნიშვნელობამ;
- სასურველია დაწესებულებამ შეფასების პროცესების ამსახველ დოკუმენტებში წარმოადგინოს ანალიზური და სარეკომენდაციო ნაწილიც, რომლის საფუძველზე იგეგმება პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რაათა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა კვლევების ეფექტურობაზე;
- სასურველი პროგრამის ამუშავების შემდგომ შრომის ბაზრის გაღრმავებული კვლევა კონკრეტული წინასწარშემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

კომპონენტი: 5.2

- სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისთვის და ქართულ შრომით ბაზარზე დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების კურსდამთავრებულთა გუნდის შესაქმნელად.

კომპონენტი: 5.3

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით, ინსტიტუციის ფარგლებში შემუშავდეს მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელსაც პერიოდულად დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:
ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. კორესპონდენციაში წარმოდგენილი არგუმენტები ექსპერტთა მიერ მიჩნეულ იქნა არასაკმარისად, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც სტუდენტების თანამედროვე ცოდნით აღჭურვას, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელშიც საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა ძირითად პრიორიტეტებად არის განსაზღვრული. კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მზაობა შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების, სხვა შემოქმედებით აქტივობების დაფინანსებასთან, მათ შორის სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება ან/და ხელშეწყობასთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ არის ასახული დოკუმენტებში.

პროგრამის მიზნების **პირველი პუნქტი** - „მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ფართო ცოდნა, რაც თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის“ - ფაქტობრივი მოცემულობაა და ვერ ჩაითვლება პროგრამის მიზნად.

პროგრამის მიზნების **მეორე პუნქტში**: „სტუდენტმა მიიღოს გრაფიკული დიზაინის, ხელოვნების და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებული, ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება გრაფიკულ დიზაინში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში“ - აქცენტი კეთდება ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე ხელოვნებაში და გრაფიკულ დიზაინში, რაც, მხოლოდ 10 კრედიტითაა წამოდგენილი კურიკულუმში „ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება“ (5 კრედიტი) და „გრაფიკული დიზაინის საფუძვლები“ (5 კრედიტი) საგნებით, აღნიშნული კი არ იქნება საკმარისი მიზნის მისაღწევად.

პროგრამის მიზნების **მესამე პუნქტში**: „მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ხელოვნებისა და გრაფიკული დიზაინის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის“ - აქცენტი კეთდება ფართო თეორიულ ცოდნაზე, „რაც აუცილებელია თანამედროვე ხელოვნებისა და გრაფიკული დიზაინის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის“.

პროგრამაში დასაბალანსებელია თეორიული და შემოქმედებითი კომპეტენციების მიღების შესაძლებლობები, რამდენადაც მიზნებში ხაზგასმულია ფართო განათლება ხელოვნებაში, თანამედროვე ხელოვნებასა და დიზაინში, და რაც აუცილებელი კომპეტენციაა პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციით - ხელოვნების (Bachelor of Fine Arts) ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში.

პროგრამის მიზნებში და კურიკულუმში ნათლად ჩანს, რომ პროგრამა ორიენტირებულია 2D, 3D, 4D პროგრამების ღრმად შესწავლაზე, 19 ძირითადი საგნიდან 11 სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის სწავლებას ეთმობა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია ციფრულ ერაში, რაც კომპიუტერული გრაფიკის სპეციალობის კურსდამთავრებულს მოამზადებდა. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი/განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღწევად პროგრამა დასაბალანსებელი და გასამდიდრებელია ხელოვნების და დიზაინის თეორიების, თანამედროვე ხელოვნების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების,

იდის გენერირების და განვითარების, კომუნიკაციის მეთოდების და სტრატეგიის სწავლების თვალსაზრისით.

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად, დადგინდა რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გთვალისწინებით პროგრამის მიზნები რელისტურობისა და გაზომვადობისთვის საჭიროებს ნათლად ჩამოყალიბებას.

ნიშანდობლივია, რომ პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში უსდ-მ იკვლია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკინგი) საბაკალავრო პროგრამაზე გრაფიკული დიზაინი, კვლევის საგანს წარმოადგენს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ხელოვნების და დიზაინის მიმართულების პროგრამები. დოკუმენტში ასახულია ინტერიერის დიზაინის პროგრამა (არადაგობრივი) და ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა, სადაც პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ხაზს უსვამს სახვითი ხელოვნების სწავლებას კვალიფიკაციის შესაბამისად, გამოყენების ორგანიზებას, წარმატებული ხელოვნების, კურატორების და გალერისტების ჩართულობას სასწავლო პროცესში. უსდ-მ განახორციელა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი პროგრამის ანალიზი. „შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკინგი) საბაკალავრო პროგრამაზე გრაფიკული დიზაინი“, დოკუმენტის თანახმად: University of Florida უნივერსიტეტისა და Budapest Metropolitan University-ის გრაფიკული დიზაინის პროგრამები 90% შესაბამისობაში, ISTITUTO EUROPEO DI DESIGN უნივერსიტეტის გრაფიკული დიზაინის პროგრამა 70-80%-იანი თანხვედრა.

University of Florida – bachelor of fine arts in graphic design, major 120 credit სრულად შეესაბამება კვალიფიკაციას, ორიენტირებულია შემოქმედებითი პორტფოლიოს მომზადებაზე, ხელოვნების ისტორიის, ხელოვნების ფორმების, ვიზუალური მეთოდების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარების, კომუნიკაციის მეთოდებისა და ხერხების სწავლებაზე, კვალიფიკაციის შესაბამისად.

https://catalog.ufl.edu/UGRD/colleges-schools/UGART/GRD_BFAG/#modelsemesterplantext

Budapest Metropolitan University – Graphic Design BA აქვს კონკრეტული დინამიურად განვითარებადი პროგრამა, რომელიც, ასევე, myBRAND პორტფოლიოზეა ორიენტირებული: design illustrations, covers, artistic posters, logos, pictograms and image identity. packaging design, branding, corporate identity and sustainability, biodesign and eco-consciousness in graphic design digital age, responsive web design, mobile applications, UI and UX design, myBRAND portfolio and diploma work implementation.

<https://www.metubudapest.hu/programs/graphic-design-ba>

ISTITUTO EUROPEO DI DESIGN - პროგრამის შესწავლის დროს გაჩნდა კითხვები საერთაშორისო ანალოგებთან დაკავშირებით, სადაც პროგრამები ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში მოიცავს 2D 3D 4D კომპიუტერული პროგრამების ამ დოზით სწავლებას, ასევე ხაზვისა და ინტერიერის დიზაინის სწავლებას სავალდებულო კურსების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას სთხოვა დადასტურება, მსგავსი ტიპის მიდგომების და ტენდენციების ამსახველი საერთაშორისო კურიკულუმებით. პროგრამის ხელმძღვანელთან შედგა შეხვედრა განმეორებით, ინტერვიუს დროს მან წარმოადგინა IED პროგრამა, თუმცა ამ მაგალითით არ დასტურდება მსგავსი მიდგომები, რადგან, 4 წლიანი 240 კრედიტის მოცულობის პროგრამა (bachelor of Arts in Graphic design) მდიდარია მარკეტინგის, ბრენდინგის, სტრატეგიის და დარგობრივი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი კურსებით, ისევე, როგორც სხვა განხილული პროგრამები. პროგრამის პდფ ფაილი იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში, პროგრამის ლინკი: https://iedbarcelona.es/en/cursos-info/bachelor-of-arts-graphic-design-en/?activityId=701w0000001KYG8&gclid=Cj0KCQIA-K2MBhC-ARIsAMtLKRtJB_dsvtLupbnNWbft4F1n3KcvSpPS2gLYiUo5miYpEAjOT_NrU4aAvTWEALw_wcB&fbclid=IwAR0PuR0upC2-5ob1ECGKK3AIPA5CVPSqCWNVxbH1-hrf2-r9XwvIJanU-Rc

ასევე, მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის მინიჭებისას გათვალისწინებული იყოს განსხვავება bachelor of Arts და bachelor of Fine Arts შორის, ნათლად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ამა თუ იმ კვალიფიკაციის არჩევანი, მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მას.

პროგრამა შეფასებულია ორი ექსპერტის მიერ, კრეატიული დირექტორი და არტ დირექტორი/დიზაინერი. ექვს იწვევს დოკუმენტებში მსგავსი, თითქმის იდენტური ტექსტი/ შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წინამდებარე საკითხზე, ვინაიდან პირველ რიგში

<p>საკითხი ეხება გარე შეფასებას და ბუნებრივია, მოცემული საკითხი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გადამოწმება, უნდა შეესრულებინა ხარისხის ჯგუფს და შესაბამისად, მოსაზრება აისახა მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტში.</p> <p>პროგრამის მიზნები ჩამოსაყალიბებელია კვალიფიკაციისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, პროგრამის დასახელება მორგებულია შრომის ბაზარს. თუმცა, ინტერვიუს დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ დამსაქმებლის კომპეტენცია/შეხედულება და მოთხოვნები ხშირად არ შეესაბამება პროფესიებს და კვალიფიკაციის შესაბამის მოთხოვნებს. ბიზნეს სექტორი დაინტერესებულია მრავალპროფილიანი თანამშრომლის დაქირავებით, პრიორიტეტია ერთი დაქირავებული პირისგან მიიღოს სხვადასხვაგვარი მომსახურება. სხვა ვითარებაა დარგობრივ კრეატიულ სააგენტოებში ან დიზაინ სტუდიებში, სადაც გრაფიკული დიზაინერის როლი მკაფიოდ განსაზღვრულია.</p> <p>დამსაქმებლებთან განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, უმეტეს წილად წარმოდგენილნი იყვნენ HR-ები და არა დარგის სპეციალისტები. მათი უმრავლესობა არ იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში, შესაბამისად, არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში. მათი მხრიდან ძირითადი მოთხოვნები სოცმედიისა და ბრენდინგის მიმართულებით გამოიკვეთა, რაც გასაძლიერებელია არსებულ პროგრამაში. ასევე, აღნიშნა შემოქმედებითი ხედვის აუცილებლობა და მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, კომპიუტერული პროგრამების ფლობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უსდ-ს მისია • პროგრამა • უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა • შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკინგი) საბაკალავრო პროგრამაზე გრაფიკული დიზაინი • შრომის ბაზრის კვლევა • გარე ექსპერტების დასკვნა • ინტერვიუები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საფეხურის გათვალისწინებით, რათა მიზნები იყოს რეალისტური და მიღწევადი. • რეკომენდებულია პროგრამის მიზნები ითვალისწინებეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს (პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების ჩართულობა) და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზნების ნაწილში აისახოს შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა აქტივობების ფარგლებში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების წარმოჩენა და განმტკიცება. • სასურველია, პროფილური კომპანიების, კრეატიული სააგენტოების, დიზაინ სტუდიების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებაში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპონენტით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

შედეგი #1 განსხვავდება პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებასა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: „აღწერს ციფრული ხელოვნების და გრაფიკული დიზაინის ძირითად კონცეფციებს. გრაფიკული დიზაინის პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს“.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა: „ანალიზებს და იყენებს გრაფიკული დიზაინის თანამედროვე აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, სფეროში არსებული ტენდენციების და სიახლეების გათვალისწინებით“.

შედეგების რუკაზე მითითებული გარკვეული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას. (ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება, ხატვა, კრეატიული აზროვნების ტექნიკა) სწავლის შედეგს უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების კლასები, რადგან საუბარია აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

შედეგი #2 „ანალიზებს გრაფიკული დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით ქმნის ტექნიკური დავალების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქციის დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააქვს ის საბოლოო პროდუქტზე“. უმჯობესია, შედეგების მისაღწევად შედეგების რუკაში დაემატოს კომპოზიცია, ვექტორული გრაფიკა 1/2, რასტრული გრაფიკა 1/2, ილუსტრაცია. აქცენტი კეთდება ტექნიკურ დავალებაზე და ტექნიკურ საშუალებებზე და არა შემოქმედებით ხედვაზე და გადაწყვეტილებებზე, იდეის განვითარებაზე და ა.შ.

შედეგი #3 „გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და ანვითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებისთვის, აპლიკაციებისათვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ გრაფიკულ კომპონენტებს“. შედეგის მისაღწევად რუკაზე აღნიშნული საგნები არასაკმარისია ამ შედეგის მისაღწევად (სამგანზომილებიანი გრაფიკა 2 და სამგანზომილებიანი გრაფიკა 3) დასაკონკრეტებელია, რა ციფრულ პროდუქტებზეა საუბარი და რას ნიშნავს პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ ელემენტები.

შედეგი #4 „პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში“. სასწავლო კურსები მოუშენ გრაფიკა, რასტრული გრაფიკა 1 და სამგანზომილებიანი გრაფიკა 4 არასაკმარისია შედეგის მისაღწევად.

შედეგი #5 „პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული პროგრამების და მათი შესაბამისი კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს“. დამაბნეველია, ამ შედეგის მისაღწევად რა კრიტერიუმებით არის შერჩეული კურსები „ვექტორული გრაფიკა/ილუსტრატორი 1“, „გრაფიკული დიზაინის საფუძვლები“, „ილუსტრაცია“, „ინტერიერის დიზაინი“, „რასტრული გრაფიკა/ფოტოშოფი 1“; ამ და სხვა კურსებით მიღწევადია შემდეგი შედეგი: გრაფიკული დიზაინის პრინციპების, უახლესი მიდგომებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება. მითითებული კურსების შინაარსი არ მოიცავს შედეგში აღწერილ საკითხებს (სერვერებთან, ოპერაციულ სისტემებთან და ა.შ. მუშაობას).

შედეგი #6 „იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზების საშუალებასთან“. პროგრამის შედეგების რუკის მიხედვით შედეგები მიიღწევა კურსებით: „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“, „ინგლისური B2 (1 და 2), „აკადემიური წერა“, „ხატვა“ „ინდიზაინი“ და „პერსონაჟის ანიმირება“.

დასაზუსტებელია ხატვა, პერსონაჟის ანიმირება და ინდიზაინი, რა როლს ასრულებს ზემოთ აღნიშნული შედეგის მიღწევაში რა კრიტერიუმებით არის ისინი შერჩეული.

შედეგი #7 „აფასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან დაკავშირებულ ღირებულებებს, შემოქმედებით ხედვას, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას“. პროგრამის შედეგების რუკის მიხედვით შედეგები მიიღწევა საგნებით საოფისე კომპიუტერული პროგრამები, ინგლისური B2 (1/2) და აკადემიური წერა, აღნიშნული საგნები არ არის შესაბამისობაში ამ შედეგთან. შედეგზე უნდა გაყავდეს დარგობრივ სასწავლო კურსებს.

პროგრამის შედეგების რუკა ტექნიკურად და შინაარსობრივად დასახვეწია, მოცემული კურსები არასაკმარისია კვალიფიკაციის შესაბამისი შედეგების მისაღწევად.

სწავლის შედეგების მისაღწევად, სასურველია, საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის არსებობა, რითიც ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება, განვითარება და სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია პროგრამას ქონდეს პროფილური მემორანდუმები, აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად. უსდ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მემორანდუმები ტექნოლოგიური მიმართულებისაა და არ მოიცავს შემოქმედებითი ინდუსტრიების, დარგის და კვალიფიკაციის შესაბამისი კომპანიებთან, კრეატიულ სააგენტოებთან, დიზაინ სტუდიებთან, ციფრულ სააგენტოებთან და ა.შ.

დასკვნით სადიპლომო პროექტის სილაბუსში, სასურველია, ჩამოყალიბებული იყოს პროექტის აღწერა ან არსებობდეს დამატებითი დოკუმენტი გაიდლაინის სახით. ასევე, შემოქმედებით დარგში არ გამოიყენება ტერმინი „სამეცნიერო ხელმძღვანელი“, ხელოვნების ბაკალავრს გრაფიკულ დიზაინში შეიძლება ყავდეს შემოქმედებითი ხელმძღვანელი ან პროექტს ხელმძღვანელობდეს შემოქმედებითი გუნდი.

პროგრამას არ ყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფს არ მიეცა დასკვნითი სასწავლო პროექტების ნახვის საშუალება, შესაბამისად, პროგრამების შედეგების რუკის ეფექტურობის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია .

ინტერვიუების პროცესში საგანამანათლებლო პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ნაკლებად გამოავლინა ცოდნა სწავლის შედეგების შესახებ, თუმცა მათი ჩართულობით მომზადდა ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები. უსდ-ს აკადემიური პერსონალმა მსჯელობისას გამოთქვა მზაობა, შესაბამისობაში მოიყვანოს ცალკეული სასწავლო კურსების შედეგები კურიკულუმის შედეგებთან.

შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს მოდიფიცირებას, რათა სრულად შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მოცემული დარგისთვის აუცილებელ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმში/პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სილაბუსები
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კურიკულუმის რუკაში სწავლის შედეგებსა და ძირითად სასწავლო კურსებს შორის განისაზღვროს ლოგიკური კავშირი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის არსებობა, რითიც ხდება მიღებული ცოდნის განმტკიცება, განვითარება და სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაცია, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება. ამისათვის მნიშვნელოვანია პროგრამას ჰქონდეს პროფილური მემორანდუმები, აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად;

<ul style="list-style-type: none"> დასკვნით სადიპლომო პროექტის სილაბუსში ჩამოყალიბდეს პროექტის აღწერა, ან შეიქმნას თანდართული დოკუმენტი/გაიდლაინი, გამოყენებული იყოს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები მეტწილად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; მათემატიკა, ისტორია ან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების საფუძველზე და ასევე უსდ-ს მიერ დადგენილი შესაძლო დამატებითი მოთხოვნებით (შიდა გამოცდა, დოკუმენტაციის განხილვა, გასაუბრება), შემოქმედებითო ტური, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს.</p>

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა **შემოქმედებითი ტური** მოცემულია პროგრამის თვითშეფასებაში და კურიკულუმში, რომლის თანახმადაც სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს შემოქმედებითი ტური/კონკურსი.

პროგრამაზე დაშვების მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი პირობა, რომლის თანახმადაც აპლიკანტი გადის შემოქმედებით ტურს, დებულება ბუნდოვანია, კერძოდ, ვინ არის კომისია, რა კომპეტენციის და კვალიფიკაციისაა თითოეული წევრი. ასევე, გაუგებარია შეფასების კრიტერიუმებში, რა მექანიზმებით ხდება **გადახატვაში** ორიგინალურობის და კონცეფციის შეფასება, რაში გამოიხატება ხელოვნებაზე მსჯელობა.

გარდა ამისა, თუ აბიტურიენტი წარმატებით გაივლის კონკურსს და აქვს უნარი შეასრულოს მოცემული დავალებები: „ოთხი ნამუშევრიდან 2 უნდა იყოს ნატურიდან ხელით შესრულებული ნამუშევარი (ნატიურმორტი, პეიზაჟი, ილუსტრაცია, ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა, საგანთა გამოსახულება და ა.შ.). წარმოდგენილი ნამუშევრებიდან 2 უნდა იყოს თავისუფალ თემაზე, ნებისმიერი ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი (ნახატი, ჩანახატი, პირადი „სკეჩ-ბუქი“-დან აღებული ნამუშევარი, 3D მოდელი, დიზაინი და სხვა)“. ამ შემთხვევაში კურსი “ხატვა“ აღარ უნდა მოიცავდეს ხატვის ანბანს.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობისა და სტუდენტზე ორიენტირების მიზნით, საჭიროა დეტალურად და დარგთან მიმართებაში რელევანტურად გაიწეროს შემოქმედებით ტურის შინაარსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შემოქმედებითი ტურის დებულება
- პროგრამა
- თვითშეფასება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს ტრანსპარანტული, საჯარო და ხელმისაწვდომი, აპლიკანტის შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზე ორიენტირებული, კერძოდ, განისაზღვროს „შემოქმედებითი ტურის“ ჩატარების პროცედურები, კომისიის შერჩევის პრინციპი და კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები. აღწერა იყოს დეტალური და არა ბუნდოვანი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამა სამწლიანია და შედგება ექვსი სემესტრისგან. საგანმანათლებლო პროგრამა - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში, არის სახელოვნებო-შემოქმედებითი პროგრამა, რომელიც მოიცავს 180 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს სამ წელს (ექვს სემესტრს). ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, სტუდენტის როგორც საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი

მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო).

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებად:

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (125 კრედიტი):

დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები - 109 კრედიტი;

დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები - 16 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (55 კრედიტი):

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურაში დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსებში ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია მსოფლიო ხელოვნების ძირითადი ასპექტების და განვითარების დინამიკის ცოდნა და გააზრება, კრიტიკული აზროვნება და მსჯელობა, ისტორიამდელი პერიოდიდან მოდერნამდე და თანამედროვე ხელოვნების სწავლება, მოდერნიდან დღევანდლობამდე, რაც სტუდენტს ჩამოუყალიბებს ესთეტიკის შეგრძნებას და გემოვნებას, მიმდინარეობების და სტილების იდენტიფიცირების უნარს, რაც თავის თავში მოიცავს გრაფიკული დიზაინისათვის მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორც კონცეპტუალური აზროვნება, ვიზუალური სტილის აღქმის და ჩამოყალიბების უნარი, ფერთა გამის, ფორმების, ტიპოგრაფიის, პატერნის მნიშვნელობის გააზრება კონკრეტულ მიმდინარეობებთან მიმართებაში, ფუნდამენტური საკითხების ცოდნის ბაზაზე ახლის შექმნის უნარი და ა.შ.

პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო საგნების ნაწილში არ გვხვდება გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ლოგოს დიზაინს ეთმობა თითო შეხვედრა სამ სხვადასხვა საგანში, ჯამში 6 საათი, ვებ და აპლიკაციის დიზაინს 2 საათი და „სამომხმარებლო ინტერფეისი“ არჩევითი საგნების ჩამონათვალშია, შესაბამისად, ის არ არის სავალდებულო. ასევე, არჩევით საგნებშია ფოტოგრაფია, რაც ვიზუალური აზროვნებისათვის უმნიშვნელოვანესი საგანია. უმჯობესია, შეეცვალოს სტატუსი ბოლო ორ სასწავლო კურსს არჩევითიდან ძირითადზე.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით დარგობრივი სავალდებულო საგნების დიდი ნაწილი, 19 საგნიდან 11 ეთმობა კომპიუტერული პროგრამების სწავლებას. ასევე, საგნები არქიტექტურის პროგრამიდან „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“ არ არის ადაპტირებული და მორგებული გრაფიკული დიზაინის პროგრამაზე, რაც მთავარია, ისინი არ წარმოადგენს რაიმე სხვა საგნის წინაპირობას, შესაბამისად, მათი საჭიროება ვერ დასტურდება. კურსების თანმიმდევრობა გაუგებარია, თუ კურიკულუმში ნათლად არ იქნება ჩამოყალიბებული პრერეკვიზიტების სისტემა. კურსი „კომპოზიცია“ არის წინაპირობის გარეშე. უმჯობესია, კურსის წინაპირობებად ჩაითვალოს „ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება“, „ხატვა“ და „კრეატიული აზროვნების ტექნიკა“.

მნიშვნელოვანია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში, შემოქმედებითი დარგობრივი საგნების მოცულობის და დარგობრივი არჩევითი კურსების კრედიტების ან რაოდენობის გასაზრდელად.

შესაძლებელია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. არჩევით საგნებში გადატანა არ დაარღვევს პროგრამის სტრუქტურის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობას. უმჯობესია, ხაზვა, ინტერიერის დიზაინი, CAD პროგრამებთან ერთად ქმნიდეს არჩევით მოდულს გრაფიკული დიზაინისთვის დამატებითი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ასევე, cinema4D III და IV, პერსონაჟის ანიმირებას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევითი საგნების სტატუსი და სტუდენტს ინტერესის შემთხვევაში საშუალება ექნება გაიდრმავეს ცოდნა ანიმაციის მიმართულებით. უნდა გადაიხედოს, გადრმავედეს, გაიყოს და გაძლიერდეს საგნები „ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება“, „გრაფიკული დიზაინის საფუძვლები“, საგანი „კომპოზიცია“ მნიშვნელოვანია იყოს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.

უსდ-ს და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ საერთაშორისო პროგრამებში ზემოთ განხილულ საკითხებს ეთმობა მინიმუმ თითო სასწავლო კურსი და დინამიურად ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, ორიენტირებულია შემოქმედებითი პროფესიონალური პორტფოლიოს შექმნაზე, კვალიფიკაციის შესაბამისად - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში.

სასწავლო კურსები და მათი წინაპირობები უნდა გადაიხედოს და შესწორდეს პრინციპით - მარტივიდან რთულისკენ, პროგრამა უნდა იყოს დინამიურად განვითარებადი დარგის და კვალიფიკაციის შესაბამისად. რიგ საგნებს უმჯობესია დაემატოს წინაპირობები, მაგალითისთვის, საგნის „ილუსტრაცია“ წინაპირობად მიჩნეულია მხოლოდ ვექტორული გრაფიკა 1 და არ არის მიჩნეული „ხატვა“ და „კომპოზიცია“. საგნის „პერსონაჟის ანიმირება“ წინაპირობაა მხოლოდ „რასტრული გრაფიკა 1“, არ არის მიჩნეული „ვექტორული გრაფიკა 1 / 2“, „ხატვა“ და „ილუსტრაცია“.

კარგი პრეცედენტია გრაფიკული დიზაინის დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მისცეს საბაზისო ცოდნა და უნარები. წინამდებარე პროგრამაში დამატებითი პროგრამის (მაინორის) მოცულობა 45 კრედიტია. ასეთ შემთხვევაში, პროგრამა სასურველია მიჰყვებოდეს მაინორ პროგრამის სტანდარტში შემოთავაზებულ ჩანაწერს, განსაკუთრებით კი კრედიტმოცულობის განაწილებასთან მიმართებით. კერძოდ, პროგრამამ განსაზღვროს სავალდებულო კომპეტენციის მიმნიჭებელი სასწავლო კურსები 60 კრედიტის ფარგლებში, დარჩენილი კრედიტების შესავსებად სტუდენტს დაუტოვოს არჩევანის თავისუფლება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის კურიკულუმი;
 - სილაბუსები.

- რეკომენდაციები:**
- რეკომენდებულია, ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად დაემატოს და გაძლიერდეს მსოფლიო ხელოვნების და თანამედროვე ხელოვნების სწავლება.
 - რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს და გაძლიერდეს გრაფიკული დიზაინისთვის მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდინგი, ლოგოს დიზაინი და აიდენტიკა, შეფუთვის დიზაინი, ტიპოგრაფია, UI/UX design, პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები, პორტფოლიოს ორგანიზება და ა.შ. საგანი „კომპოზიცია“ კორექტირდეს კონკრეტულად გრაფიკული დიზაინისთვის.
 - რეკომენდირებულია, პროგრამის სასწავლო გეგმაში გადაიხედოს და შესწორდეს კურსების პრერეკვიზიტები.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, „ფოტოგრაფიას“, როგორც ვიზუალური აზროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს კურსს და „სამომხმარებლო ინტერფეისს“, როგორც ვებ და აპლიკაციის დიზაინისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭრას, შეეცვალოს სტატუსი არჩევითიდან ძირითადზე;
 - სასურველია, მოხდეს რიგი სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. უმჯობესია, ხაზვა, ინტერიერის დიზაინი, CAD პროგრამებთან ერთად ქმნიდეს არჩევით მოდულს გრაფიკული დიზაინისთვის დამატებითი ცოდნისა და უნარების შესაძენად. ასევე, cinema4D III და IV, პერსონაჟის ანიმირებას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევითი საგნების სტატუსი და სტუდენტს ინტერესის შემთხვევაში საშუალება ექნება გაიღრმავოს ცოდნა ანიმაციის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო კურსებს, როგორც ზოგად საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევით, ასევე, დარგობრივ სავალდებულო და არჩევით კურსებს.

წარმოდგენილი სასწავლო კურსებში (ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება; გრაფიკული დიზაინის საფუძვლები; კრეატიული აზროვნების ტექნიკა; ილუსტრაცია) შეკითხვებს აჩენს კურსის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები, თეორიულ თუ პრაქტიკულ საგნებში შედეგების ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც უმეტესწილად არ ეხმიანება კურსის მიზანს და შინაარსს. ასევე, შეფასების კრიტერიუმების აღწერა სილაბუსებში იდენტურია, „ეძლევა ტექნიკური დავალება, რის შესასრულებლადაც სტუდენტს აქვს 90წთ“. ასევე, სასწავლო კურსებში „ხატვა“ და „კომპოზიცია“ გამოყენებულია არადარგობრივი მოძველებული ლიტერატურა.

დარგობრივი სავალდებულო თეორიული საგნების სილაბუსებში, რომელიც სტუდენტს უნდა აძლევდეს ფართო, ფუნდამენტურ განათლებას ხელოვნებასა და დიზაინში, გვხვდება შემდეგი სახის ხარვეზები: „**ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება**“ წარმოადგენს ერთადერთ საგანს კურიკულუმში, რომელიც სტუდენტს აცნობს მსოფლიო ხელოვნების ასპექტებს, ეთმობა 24 საკონტაქტო საათი, 21 საათი ლექცია/პრაქტიკუმს (რაც პრაქტიკულ სამუშაოს გულისხმობს) 3 საათი სემინარს, ასევე 6 საათი პრეზენტაციებს და გამოცდებს. შინაარსობრივად არ ეხმიანება კურსის მიზანს „დაანახოს ხელოვნების განვითარების გზა. სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და კულტურათა თავისებურებები“, სწავლის შედეგში ვკითხულობთ „ამოიცნობს და განსაზღვრავს ტექნოლოგიურ/პროგრამულ მოთხოვნებს რომლებიც საჭიროა პრობლემის გასაანალიზებლად და მის აღმოსაფხვრელად“, სასწავლო კურსის შინაარსი არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს და უფრო მეტად მოიცავს ზოგადი განათლების თემატიკას. იყენებს ლიტერატურას Graphic Design: The New Basics - Ellen Lupton.

საგანში „**გრაფიკული დიზაინის საფუძვლები**“ შედეგების ვრცელი ჩამონათვალის მიღწევა შეუძლებელია 24 საკონტაქტო საათში, თითო 2 საათიანი შეხვედრა ეთმობა გრაფიკული დიზაინერისთვის მნიშვნელოვან თემებს, ლოგოს დიზაინს, ვებ დიზაინს, ტიპოგრაფიას, ფოტოგრაფიას და ადობე პროგრამებს, ბექდვას და საბეჭდი ფაილების მომზადებას, რეკლამას და მოუშენ გრაფიკას ა.შ. ასევე, დრო ეთმობა საკითხებს რაც არ არის დარგობრივი და სალექციო, მაგ: დასაქმება, ბიზნეს გეგმა და ოფისის ქირაობა. იყენებს 2013 და 2005 წლის ლიტერატურას.

საგანში „**კრეატიული აზროვნების ტექნიკა**“ ანოტაციაში ვკითხულობთ, „სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს პროგრამული უზრუნველყოფა C4D-ს გარემოში მარტივი სამგანზომილებიანი ობიექტების მოდელირება და მარტივი ანიმაციების დამზადება. ვიზუალური გამოსახულებების რენდერინგი“. კურსის მიზნები და სწავლის შედეგები სხვაგვარადაა მოწოდებული. გამოყენებულია 2009 და 2012 წლების ლიტერატურა. სილაბუსში მოცემული განმარტებები არ შეესაბამება დარგის ტერმინოლოგიას, მაგალითად: თემა 6 - კრეატიული კამპანიები და სტრატეგიები, ვკითხულობთ „მატარებლის სხვადასხვა ტიპის ვაგონების მოდელირება“, დარგში გამოიყენება ტერმინი მედია მატარებლები (media channels), ვაგონების მოდელირება შეუსაბამოა. ამავე სილაბუსში, ისევე როგორ ანოტაცია, გვხვდება თემის აღწერა სხვა საგნის სილაბუსიდან: თემა 12 ორგანიზაციული კრეატივი, კრეატივის მართვა

განსახილველი საკითხები

- პროგრამის ინტერფეისში ფანჯრების გადაადგილების საჭიროება და შესაძლებლობები;
- ფანჯრების გაერთიანება და ტაბები;
- ინტერფეისის მოწყობის შაბლონები და მათი უპირატესობები;
- ინტერფეისის ელემენტების სტანდარტული განლაგება;
- ინტერფეისის ინდივიდუალური განლაგება;
- ინტერფეისის საბაზისო პლაგინების დანიშნულება და მათი გამოყენების მიმოხილვა;
- შუქის და კამერის პარამეტრები;

- ფენების დაჯგუფება და ტეგები;
- ობიექტების გაზომვის ინსტრუმენტები.

სასწავლო კურსში „კომპოზიცია“ შინაარსი დარგის სპეციფიკაციას და მოიცავდეს დარგისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასზოგადია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, სალექციო თემები უნდა მოიცავდეს გრაფიკული დიზაინის შესაბამის კომპოზიციას. გარდა ამისა, საგანს არ აქვს პრერეკვიზიტი, კომპოზიციის გააზრებას და შესაბამისი დავალების შესრულებას ჭირდება შემოქმედებითი და ტექნიკური უნარები, როგორცაა „ხატვა“, „გრაფიკული დიზაინის საფუძვლები“, „ხელოვნება, მეცნიერება და საზოგადოება“, „კრეატიული აზროვნების ტექნიკა“ პრერეკვიზიტებში. ამ საკითხთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია (იხილეთ კომპონენტი 2.2). გამოყენებულია არადარგობრივი 1989, 1999, 2015 წლის ლიტერატურა, მათ შორის რუსულენოვანი/ანუ საბჭოთა.

სასწავლო კურსში „ხაზვა“ საგნის მიზანი, შედეგები და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს და არ შეესაბამება გრაფიკული დიზაინის პროგრამის საჭიროებებს. სალექციო თემები: საცხოვრებლის სახლის გეგმა, ჭრილი, ფასადი, სამრეწველო ხაზვა, სამრეწველო შენობები და ა.შ. საგანი არ წარმოადგენს არცერთი სხვა საგნის წინაპირობას და შესაბამისად მისი საჭიროება არ დასტურდება.

სასწავლო კურსის „ინტერიერის დიზაინი“ ანოტაციაში, კურსის მიზანში, სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში (მოეთხოვება გეგმები, ჭრილები, განშლები და ა.შ) და კურსის შინაარსში (იატაკის და კედლის მოსაპირკეთებელი მასალები, ელექტროობის ნახაზები და ა.შ.) არ არის კავშირში გრაფიკულ დიზაინთან. გამოყენებულია რუსული მასალები.

დარგობრივი ექსპერტები გაეცნენ სასწავლო კურსების სილაბუსებს (Adobe-ს პროგრამები, Cinema 4D), რაც ერთიანობაში ხაზს უსვამს ტექნიკური კომპონენტის სიძლიერეს პროგრამაში.

სილაბუსში „სადიპლომო პროექტი“ სასურველია, ჩამოყალიბებული იყოს პროექტის აღწერა ან არსებობდეს დამატებითი დოკუმენტი გაიდლაინის სახით. ასევე, შემოქმედებით დარგში არ გამოიყენება ტერმინი „სამეცნიერო ხელმძღვანელი“, ხელოვნების ბაკალავრს გრაფიკულ დიზაინში შეიძლება ყავდეს შემოქმედებითი ხელმძღვანელი ან პროექტს ხელმძღვანელობდეს შემოქმედებითი გუნდი. ამ საკითხთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რჩევა (იხილეთ კომპონენტი 1.2).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს კურსის შესაბამისი მიზანი, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები შინაარსის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, სილაბუსების შინაარსი გადაიხედოს, გაძლიერდეს, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მე-6 დონის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
- რეკომენდებულია, დარგის და საგნის შინაარსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის, თუნდაც ონლაინ მასალების/რესურსების გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სილაბუსებში ყურადღება ექცეოდეს დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებას.
- სასურველია გადაიხედოს კურიკულუმში ვალკეული სასწავლო კურსების შესაბამისობის საკითხი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში (მაგალითად „ხაზვა“, „ინტერიერის დიზაინი“).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა გრაფიკულ დიზაინში ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში, ყურადღება გასამახვილებელია ფართო განათლებაზე ხელოვნებაში მსოფლიო ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების საგნების მოდიფიკაციით, დარგობრივი საგნების გაძლიერებით და გამდიდრებით. დარგობრივ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ გრაფიკული დიზაინის მიმართულებით სასურველია შესაბამისი კვალიფიკაციის ლექტორების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში, რათა სტუდენტებმა სრულყოფილად მიიღონ დარგობრივი კომპეტენციები, შემოქმედებითი და ტექნიკური. პროგრამაში დასაბალანსებელია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემუშავებელი კურსების რაოდენობა, საჭიროა შემოქმედებითი კურსების დამატება და არსებულის გადახედვა. საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რამაც პროგრამის განმახორციელებლებს აქტიურად უნდა გაუწიონ თანამშრომლობა მიზანმიმართულად შერჩეულმა სტაჟირების ობიექტებმა, სადაც სტუდენტებს უშუალოდ ექნება საშუალება გამოცდილი პროფესიონალებისაგან მიიღონ პროფესიული რჩევები და შემოქმედებითად მიუდგნენ თავიანთ პრაქტიკულ შესაძლებლობებს. მისასალმებელია, რომ პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სტატუსის დასკვნით სასწავლო პროექტს - ამ კომპონენტის მიზანია დარგის აქტუალურ საკითხზე ცოდნის გაღრმავება და ხელმძღვანელის დაკვირვების პირობებში დაგეგმილი შემოქმედებითი ნამუშევარის შექმნა. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, უსდ ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას. სასწავლო პროცესის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში, რასაც უსდ ახორციელებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, და ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, რათა განიმტკიცონ ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - აკადემიური პერსონალის რეზიუმეები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაბალანსდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შემუშავებელი სასწავლო კურსების თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამაში;
- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდეს სტაჟირების განხორციელების ობიექტების მიზანმიმართული შერჩევა.
- სასურველია, დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით გაძლიერდეს კურიკულუმი შესაბამისი სასწავლო კურსებით (მსოფლიო და თანამედროვე ხელოვნება, დარგობრივი საგნები).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასებ**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - „გრაფიკული დიზაინი“ სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა ფორმატს: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; მოსმენა (აუდირება); დისკუსია/დებატები; ევრისტიკული მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ელექტრონული სწავლება (E-learning); კონსტრუქტივიზმის მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია. აღნიშნული მეთოდები გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამების სწავლებისას, ისინი შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსს და მათი ერთობლიობა განაპირობებს სწავლის შედეგების მიღწევას. (ვექტორული გრაფიკა 1 და 2 Illustrator; რასტრული გრაფიკა 1 და 2 Photoshop; სამგანზომილებიანი გრაფიკა 1, 2, 3, 4 C4D; მოუშენ გრაფიკა After Effect; Indesign; პერსონაჟის ანიმირება Adobe Animated) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნება ტექნიკური ლაბორატორიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ პროექტებს და წარადგენენ მათ პრეზენტაციის სახით; ეძლევათ პრაქტიკული დავალება, ნახაზი-ამოცანა, დასაწერი აქვთ ესე. სილაბუსებით განსაზღვრულია შუალედური და ფინალური გამოცდები, რომლებიც ტარდება ღია კითხვების, ქვიზების, ტექნიკური დავალების, ზეპირი და ფინალური გამოკითხვის, ტესტების სახით, რომელთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და სტუდენტებისთვის არის ხელმისაწვდომი. სწავლის შედეგების სწორი შერჩევა და მათი კომბინირებული სახით წარმოდგენა საშუალებას მისცემს სტუდენტს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, გაიღრმავოს გონებრივი და ტექნიკური უნარები, რაც ხელს შეუწყობს საბაკალავრო პროგრამის შედეგების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადახედილ იქნა მოწოდებული სილაბუსები და დეტალურად იქნა შესწავლილი მეთოდების ჩამონათვალი ცალკეულ მათგანში. აქედან გამომდინარე მეტწილად სილაბუსებში ველი სწავლა სწავლების მეთოდები წარმოდგენილია სწავლების მეთოდების ჩამონათვალი, რომელთაგანაც ზოგიერთი არ მიესადაგება მოცემულ სასწავლო კურსს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სწავლება-სწავლის მეთოდები; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები</p> <ul style="list-style-type: none"> • გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსებში რუბრიკა „სწავლა-სწავლების“ მეთოდები და მათი შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

„გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტების შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც განთავსებულია კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ვებ-გვერდზე, აღნიშნული პროგრამის შესახებ განყოფილებაში, ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის დოკუმენტში, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ზოგადია და არ შეიცავს სასწავლო პროცესში გამოყენებული ცოდნის შეფასების ყველა იმ ფორმის კრიტერიუმს, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში (პროექტი, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალება, ესე.). პროგრამის ტექსტში, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა წარმოდგენილია ამგვარად: „სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზე მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.“ აღნიშნული შეფასების სისტემა 100 ქულიანია და ქულების მიხედვით, ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფით შეფასებას ითვალისწინებს. შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან, შუალედური შეფასების კომპონენტების ჯამური ქულა 70-ია, დასკვნითი შეფასების კი - 30. შეფასების სისტემაში დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტს გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუკი ის დააგროვებს შეფასების მაქსიმალური ქულის 51% პროცენტს. სადიპლომო პროექტის შეფასება და მისი საჯარო პრეზენტაცია ფასდება 100 ქულით, მინიმალური ზღვარია შეფასების 60- ანუ 60 ქულა. სადიპლომო პროექტს აფასებს ხელმძღვანელი და დარგობრივი კომისია, შეფასების კრიტერიუმებისთვის გაწერილი ქულების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, შეფასებაში FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო შეფასებაში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - ჩაიჭრა.

გაცილებით ვრცლად არის ჩამოყალიბებული შეფასების სისტემა პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში, რომელიც შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან (საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო, პროექტი/ანგარიში, შუალედური და დასკვნითი გამოცდა). შეფასების თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში და 100-ქულიანი შეფასება, კომპონენტების მიხედვით, ხვედრითი წილებით არის გადანაწილებული. ამდენად, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ის ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ელექტრონული სახით. სასწავლო კურსის დასაწყისში, ლექტორი აცნობს სტუდენტს სილაბუსს მატერიალური სახითაც. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგის გაცნობა სტუდენტისათვის და ის იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგის შესაბამისად.

სასწავლო საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმები მრავალფეროვანია. რიგ შემთხვევებში, ის ეფუძნება წინასწარგანზრახულ სწავლების მიზანს, ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას და საგნების თავისებურებებს.

თუმცა, დაფიქსირდა რომ ტექნიკურ და შემოქმედებით სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების აღწერისას ვხვდებით ჩანაწერს „სტუდენტს ეძლევა ტექნიკური დავალება, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 90 წუთის განმავლობაში“ (ხელოვნება, მეცნიერება, საზოგადოება, კრეატიული აზროვნების ტექნიკები, ილუსტრაცია, გრაფიკული დიზაინის საფუძვლები). შემოქმედებით სასწავლო კურსებში შემოქმედებითი დავალების შესრულება ინდივიდუალურ

მიდგომას მოითხოვს. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და წლების მანძილზე დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად 90 წუთი არ არის საკმარისი. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გაირკვა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ისარგებლა ადმინისტრაციისაგან შემოთავაზებული სილაბუსის ფორმით და არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა სასწავლო კურსის სწავლების სპეციფიკას, მეთოდოლოგიასა და შეფასებაზე. კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და შეფასების ასახვის ელექტრონული სისტემა, ე.წ. სტუდენტის პირადი გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ ინდივიდუალურად და მას აქვს საშუალება, აღნიშნული სისტემის საშუალებით, ჰქონდეს წვდომა სხვადასხვა ინფორმაციაზე (სილაბუსი, დასწრების აღრიცხვა, გადახდები, ნიშნები). ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქვთ შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების გადასინჯვის საშუალება. კურსდამთავრებულმა ინტერვიუებისას აღნიშნა ამ სერვისით პირადად სარგებლობის ფაქტი. ამგვარად, გამოკითხულ პირებს წარმოდგენა ჰქონდათ აპელაციის პროცესსა და პროცედურაზე.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - სადიპლომო პროექტის სილაბუსი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვროს დავალების ფორმატი (ტექნიკური ან შემოქმედებითი) და ასევე გონივრული დრო დავალების შესრულებისთვის;
 - სასურველია, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი უკეთ იყოს გაცნობიერებული საკუთარი სასწავლო კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და სპეციფიკაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გრაფიკული დიზაინის“ ახალ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რის გამოც, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოკითხვა ჩაატარა მომიჯნავე სპეციალობის - არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუებისას გამოჩნდა, რომ სტუდენტები სწავლის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე იღებენ ინფორმაციას სასწავლო კურსების შესახებ სილაბუსის სახით, რათა უკეთ გაერკვნენ საგნის სტრუქტურაში ან არჩევითი კურსის შემთხვევაში, არჩევანი გააკეთონ მათთვის საჭირო სასწავლო კურსზე. სილაბუსები სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონული სახით, იტვირთება უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალზე, მათ პირად გვერდზე. სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური კონსულტაციების მიღების შეუზღუდავად მიღების საშუალება, გაწერილი საკონსულტაციო საათების გარდა. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ინტენსიური ურთიერთობა აქვთ სასწავლო პროცესის, სხვადასხვა პროექტის, კონკურსის, პრაქტიკის განხორციელებისას. სტუდენტებმა აღნიშნეს აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მუდმივი მზაობა მათი აკადემიური მიღწევების სრულყოფის, პრაქტიკის გავლის, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების პროცესში ჩართულობა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა სხვადასხვა სახის კითხვარების (პროგრამის, ლექტორის შესახებ) შევსებით და მათში საკუთარი აზრის დაფიქსირებით ახსნეს, ასევე, მონაწილეობას იღებდნენ დისკუსიებში, პროგრამის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მათი აზრის გათვალისწინებით მოხდა სილაბუსების დამუშავება, სტუდენტების მოთხოვნით შეიქმნა ცალკე სივრცე მუშაობისა და სწავლისთვის, ხატვის ოთახს დაემატა საჭირო ატრიბუტები. ეს ადასტურებს კომუნიკაციის არსებობას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა პერსონალმა „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში სტუდენტის ჩართულობა დააფიქსირეს, კონკრეტულად რა კომპონენტზე იმუშავა სტუდენტმა, ამ კითხვაზე პასუხი აკრედიტაციის ექსპერტთა კომისიამ მათგან ვერ მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშის ტექსტში ასევე არ იყო წარმოდგენილი სტუდენტი თუნდაც მომიჯნავე დარგიდან. სტუდენტის ჩართულობა აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში არ დადასტურდა სტუდენტების ინტერვიუების დროსაც. აღნიშნულ საკითხზე გაიცა რეკომენდაცია (იხილეთ კომპონენტი 5.2). სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ ჰქონიათ შეხება ხარისხის სამსახურთან, მათთვის უცნობი იყო ასეთი სამსახურის არსებობა უნივერსიტეტში, რაც ერთგვარად აფერხებს ხარისხის კულტურის სრულყოფილად გაფართოებას ინსტიტუტის ფარგლებში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები პედაგოგებისაგან იღებენ უკუგებას შუალედური შეფასების შემდეგ და მათი დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ნაკლოვანი მხარეების აღმოსაფხვრელად. ინტერვიუებული პირებისთვის ცნობილია შეფასების სისტემა და მისი კრიტერიუმები. მათ იციან და უსარგებლიათ შეფასების გასაჩივრების სერვისით არაერთხელ. გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ სარგებლობენ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით და წიგნადი ფონდით, თუმცა, მათ მიმართულებით არ იყო წიგნების დიდი არჩევანი და ისინი ლექტორებისაგან იღებენ საჭირო ლიტერატურას ციფრული სახით.

კარიერული განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ ადგილობრივ კონკურსებში - როგორც აპლიკანტების, ისე ორგანიზატორების, მენტორების სახით, მონაწილეობენ ვორკშოპებში (Knaut, Icomos), გადიან პრაქტიკას პროფესიულ ორგანიზაციებში. ინფორმაციას დასაქმებასა და სხვა აქტივობების შესახებ (კონკურსები,

<p>ვორქშოფები) სტუდენტები იღებენ სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფებიდან, ასევე, ეგზავნებათ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.</p> <p>ინტერვიუს დროს, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა მეტი დრო დასთმობოდა კონსტრუქციების, მასალების შესწავლას, დააკლდათ გრაფიკული დიზაინის, ფოტოშოპის სწავლება. ისინი ერთხმად აღიარებენ პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობას სწავლის პერიოდში, რასაც მესამე კურსიდან გადიან და მომავალში ისურვებდნენ ამ მიმართულების გაძლიერებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუები სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან/ადმინისტრაციასთან/ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან/აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სტუდენტური პროექტების ხელშეწყობისა და დაფინანსების პროგრამების გაძლიერება; • სასურველია სტუდენტებისა და ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინირებული მუშაობა; • სასურველია დარგზე ორიენტირებული პრაქტიკის ობიექტების მოძიება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შედგება: 5 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 16 მოწვეული პერსონალი.</p> <p>თვითშეფასების რუბრიკა პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები არ ემთხვევა დანართ მასალებში წარმოდგენილი პროგრამაში ჩართულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცხრილში წარმოდგენილ მაჩვენებლებს. გარდა ამისა, თვითშეფასების მაჩვენებლებში ფიგურირებს ერთი უცხოელი მოწვეული ლექტორი, რაც არ ფიქსირდება დანართებში წარმოდგენილ აკადემიური პერსონალის ცხრილში.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაა 7/18, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს აქვს პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისა და სრულყოფილი ამოქმედებისათვის გაიზარდოს დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამას ასევე ადასტურებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი გუნდი დაკომპლექტებულია უმეტესწილად არქიტექტურის და კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალით. მათი გამოცდილება რელევანტურია კომპიუტერული პროგრამების ან კომპიუტერული გრაფიკის დარგის შესაბამისი განსახორციელებელი სასწავლო კურსების შინაარსისთვის.</p> <p>ექსპერტთა გუნდს არ მიეცა საშუალება გაცნობოდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებლებს, მათ შემოქმედებით პორტფოლიოებს, დარგის შესაბამისი კომპეტენცია რიგ შემთხვევებში არ იკვეთება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებიდან.</p> <p>ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა, თუმცა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული დარგის სპეციფიკა, რომელიც მოითხოვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დარგობრივ პრაქტიკულ გამოცდილებას და შემოქმედებითი პორტფოლიოების მრავალფეროვნებას.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა რელევანტურია და შეესაბამება დაკავებულ აკადემიურ პოზიციებს.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელის პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება/კომპეტენცია სრულად შეესაბამება მის მიერ დაკავებულ აკადემიურ პოზიციას, მისი გამოცდილება დაედო საფუძვლად პროგრამის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებას.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება უსდ-ს შიდა რეგულაციების საფუძველზე, არის გამჭვირვალე და სამართლიანი.</p> <p>პროგრამის სტუდენტები უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფში ადმინისტრაციული პერსონალის სოლიდური რაოდენობით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამა და სილაბუსები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები • თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, დარგობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პროგრამამ შემდგომ ეტაპზე, განვითარების პროცესში შეაფასოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი პროექტები; • სასურველია, პროგრამის პორტფოლიოს დანართები შესაბამისობაში იყოს თვითშეფასების ანგარიშთან და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი და მასში ჩართული პირების შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა, უსდ-მ წარმოადგინა გამოკითხვის ფორმები თანდართულ დოკუმენტაციაში და ელექტრონულ ბაზაში ადგილზე დათვალიერებისას, სადაც სტუდენტს კურსის დასრულებისას აქვს შესაძლებლობა ანონიმურად შეაფასოს ლექტორი, მისი კომპეტენცია, გადმოცემის უნარი და კურსის სტრუქტურა. რასაც ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ხდება უსდ-ს მიერ, მას აქვს კვლევის დეპარტამენტი, რომელიც ხელს უწყობს და კოორდინაციას უწევს კვლევით აქტივობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს კვლევით საქმიანობაში, არსებობს საუნივერსიტეტო შიდა დაფინანსების წესი, წელიწადში ორჯერ ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. უნივერსიტეტი კვლევითი საქმიანობისთვის პერსონალს უთმობს საჭირო ინფრასტრუქტურას და ეხმარება დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუების დროს.</p> <p>წარმოდგენილია ასევე, პერსონალის პროფესიული განვითარების ანალიზის შედეგები, სადაც, ერთი მხრივ მოცემულია დასრულებული პროექტები, მეორე მხრივ მიმდინარე პროექტები. შემოქმედებითი პროექტები მათ ჩამონათვალში არ არის, თუმცა კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემოქმედებითი პროექტები ასევე იქნება მხარდაჭერილი უსდ-ს მიერ.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა, როგორც დანარჩენ შემთხვევაში ამ პროგრამაზე კვლევა ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა, მომიჯნავე პროგრამების პერსონალთან ჩატარებული კვლევები იძლევა სრულ სურათს მიმდინარე პროცესზე. კვლევის შედეგების ანალიზის შედეგები უკუკავშირის მიზნით გადაეცემა საუნივერსიტეტო ერთეულებს და ფაკულტეტის წარმომადგენლებს შედეგების შესწავლის მიზნით. სტრუქტურული ერთეულებთან თანამშრომლობით ყალიბდება განვითარების გეგმა შესაბამისი ღონისძიებებით.</p> <p>პროფესიული განვითარების თვალსაზრისით უსდ-ს აკადემიური პერსონალი მონაწილეობს Erasmus+ მობილობის პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში და ვორქშოპებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში • კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა • აკადემიური პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგების ნიმუში • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემები • კითხვარების ნიმუშები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ ხორციელდება კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკა, ხატვის და ძერწვის სტუდია-სახელოსნო, ტექნოლოგიური ლაბორატორია, სადაც, სტუდენტებს შეუძლიათ, პედაგოგის დახმარებით, დაეუფლონ დიზაინის სფეროში გამოყენებად სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამას (ილუსტრატორი, ფოტოშოპი, ანიმატორი, აფთერ ეფექტი, ინდიზაინი, C4D), რაც სტუდენტს პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს და სწავლის შედეგის მიღწევას განაპირობებს. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ემსახურება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზით, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის სივრცეებით, საინფორმაციო-ტექნიკური საშუალებებით. ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნებით, ჟურნალებით და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილ განყოფილებებს. სტუდენტს შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვადასხვა სახის წიგნად მასალას და ელექტრონული საშუალებებით, ბიბლიოთეკის კატალოგში (KOHA) მოიძიოს წიგნების, სხვა სასწავლო მასალების ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკაში ელ. ვერსიებით არის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში, საგანმანათლებლო პროგრამის “გრაფიკული დიზაინი” სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა მწირად არის წარმოდგენილი. ბიბლიოთეკაში ვიზიტისას გადამოწმდა სილაბუსით გათვალისწინებული ერთ-ერთი ლიტერატურა, რომელიც მოიძებნა უცხოურ სამეცნიერო ბაზაში. სასურველია ბიბლიოთეკაში იყოს ლიტერატურა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტურ საკითხებს ხელოვნების და დიზაინის მიმართულებით. რაც შეეხება გრაფიკულ დიზაინს, სწრაფად განვითარებადი დარგის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ყოველდღიურ სიახლეებს, რელევანტურია ელექტრონული რესურსების გამოყენებას, რასაც ლექტორი აწვდის სტუდენტს. ბიბლიოთეკის კომპიუტერებიდან შესაძლებელია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე, როგორცაა: EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus და სხვ., ელექტრონულ ჟურნალებზე და სხვა ლიტერატურაზე. მათი ჩამონათვალი განახლებადია და სტუდენტი ახალდამატებული მასალის შესახებ ინფორმაციას იღებს ელექტრონული ფოსტით. ეს საშუალებას აძლევს პერსონალს და სტუდენტს გაეცნოს გრაფიკული დიზაინის სფეროში უახლეს სამეცნიერო თუ პოპულარულ სტატიას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ლიფტი. უნივერსიტეტის ფართო ფოიეში განთავსებულია კეთილმოწყობილი სამეცადინო, დასასვენებელი, საკომუნიკაციო სივრცეები სტუდენტებისათვის. აქვე ფუნქციონირებს სასადილო და წიგნების მაღაზია. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია

აუცილებელი ინფრასტრუქტურით და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
 - საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი (ადგილზე დათვალიერება, რეალური ვიტარება);
 - ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გრაფიკული დიზაინის პროფესიული ლიტერატურით გამდიდრება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, შესაბამისი საუნივერსიტეტო ერთეულები, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების განსაზღვრას და მოთხოვნების გათვალისწინებას პროგრამის ფარგლებში. ბიუჯეტის ჩამოყალიბებაში ჩართულია სკოლის დეკანი, ფაკულტეტის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და კონკრეტული ადმინისტრაციული რგოლები.

ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული საჭიროებები.

ახალი პროგრამის ბიუჯეტი მეტნაკლებად დეტალურად არის გათვლილი, უსდ-ს ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი პროგრამის ასამუშავებლად მნიშვნელოვანი კონკრეტული თემები, დაფიქსირებულია პირველ რიგში პროგრამის შემოსავალი, რომელიც ზოგად ღირებულებას თითქმის 3-ჯერ აღემატება. პროგრამა გათვლილია 25 სტუდენტზე და აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხარჯები წარმოდგენილია სასწავლო გეგმის სქემის მიხედვით. სწავლების ხარჯი მოიცავს 102,893.78 რაც შემოსავლის თითქმის 1/3-ს უტოლდება. ბიუჯეტში არ ჩანს სტუდენტური შემოქმედებითი აქტივობების ხარჯი (გამოფენა, ვორქშოფი), თუ სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების ხარჯები ნაგულისხმებია კვლევითი მიმართულების ხარჯების ფარგლებში, მაშინ მოცემული თანხა 25 სტუდენტზე არარელევანტურად გამოიყურება. ამასთანავე, ნაკლებად დამაჯერებელია რომ კვლევითი მიმართულების ხარჯს თითქმის უტოლდება პროგრამის მოსამზადებელი, განვითარების და აკრედიტაციის ხარჯები. გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის მომზადება-განვითარება, აკრედიტაციის ხარჯი გაიწეროს დეტალურად. შესაბამისად, დასაბალანსებელია ბიუჯეტის ორი პუნქტი, კერძოდ: პროგრამის მომზადება აკრედიტაციის ხარჯები და კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების და ღონისძიებების ხარჯები. ბიუჯეტში არ ჩანს სასწავლო-სტუდენტური სახარჯი მასალების ხარჯები. რაც შეეხება ლიტერატურის ხარჯს, გამომდინარე იქიდან რომ წინამდებარე დარგი სწრაფად განვითარებადია, ლიტერატურის ფონდს მუდმივად განახლება ესაჭიროება, რაც თავისთავად მაღალ ტარიფებს გულისხმობს.

ბუნდოვანია, რა იგულისხმება ლიტერატურის ხარჯში, თუ წიგნის ბეჭდური ვერსია არის ნაგულისხმევი მაშინ წინამდებარე თანხა ცოტაა, თუმცა, ელექტრონული ბაზის შესყიდვის შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული კონკრეტულად „ელექტრონული ბაზები“.

პოზიტურად უნდა ჩაითვალოს რომ უნივერსიტეტი დამატებით პროგრამისთვის გადადებს სარეზერვო ფონდიდან 200 000 ლარს, რაც შეიძლება იყოს დამატებითი მხარდაჭერა პროგრამის განვითარებისთვის.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, წინამდებარე ბიუჯეტს ესაჭიროება გარკვეული ცვლილებები დარგის სპეციფიკის და საჭიროებების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამას შემდგომ ეტაპზე განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვიშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების, გამოფენების და სხვა შემოქმედებითი აქტივობების ხარჯი;
- სასურველია, მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, ბიუჯეტი გაიწეროს დეტალურად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო ამავე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის შემუშავებული და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერილი ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **გრაფიკული დიზაინი**. საინიციატივო ჯგუფთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ასევე პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი.

პროგრამის შემუშავებას წინ უნსწრებდა ბაზრის შესწავლის პროცედურა, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება. ახალი პროგრამის წარდგენამდე პროგრამის მენეჯმენტის მიერ მოკვლეული და შესწავლილი იყო შემდეგი თემები: *დასაქმების სექტორი, კონკრეტული სამუშაო პოზიციები; ვაკანტურ ადგილზე დასასაქმებელი პოტენციური კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები; დასაქმების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ვაკასიები; დამსაქმებელი ორგანიზაციების კვლევის შედეგები*; ამ ეტაპზე წინამდებარე დოკუმენტი მეტწილად მკმარია, თუმცა შემდგომ ეტაპზე საჭირო გახდება ჩამდგებული კვლევა კონკრეტული წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოფისი ერთიანად კოორდინაციას უწევს საუნივერსიტეტო პროცესებს სწავლა-სწავლების, კვლევისა და მენეჯმენტის მიმართულებით, ემყარება რა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური ქმედების პროცესებს, როგორცაა *დაგეგმვა, განხორციელება, შეამოწმე განავითარე (PDCA)*. სამსახურის ქმედების საფუძველად სხვადასხვა პერიოდში შექმნილია სამოქმედო დოკუმენტები და რეგულაციები, რომელთა ფარგლებში საერთაშორისო გამოწვევებისა და გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ინსტიტუციური პროცესების სამართავი ერთიანი პროცედურები და განსაზღვრულია სავალდებულო ინსტრუმენტარიუმი.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წინამდებარე რეგულაციებს, რომელთა შორის უნდა დასახელდეს:

- ✓ **საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი** (დამტკიცებული N07/01-27, 14/09/2019);
- ✓ **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შეფასების მეთოდოლოგია**;
- ✓ **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება** (დამტკიცებული N07/01-08, 09/03/2021);
- ✓ **კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროფექტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა**;

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი დეტალურად მიყვება პროცედურების განმარტებას, სადაც მითითებულია, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში ჩართულია მსგავსი ან მონათესავე პროგრამის სტუდენტი და ასევე კურსდამავრებული, რომელიც წინამდებარე პროგრამის შემუშავების პროცესში არ დაფიქსირებულა არც დოკუმენტურად (თვითშეფასების ანგარიშში) და არც ინტერვიუს პროცესში. თუმცა სტუდენტთა ჩართულობა არამხოლოდ თვითშეფასების პროცესში, არამედ საკუთრივ მისი მომზადების პროცესებშიც აქტუალურია. მართალია, პროგრამა ახალია, მაგრამ პროგრამის განმახორციელებელ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ სტუდენტები მოცემულ პროცესებში ჩართულიყვნენ მომიჯნავე სპეციალობებიდან, რაც არ გართულებულა ვიზიტის დროს.

წინამდებარე დოკუმენტი ფრაგმენტულად ასახავს საკუთრივ პროგრამის შემუშავების პროცედურებს. პროგრამის ინიცირებაც ძირითადად უკავშირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტს, შემდგომ კი სკოლის დეკანს, ამ უკანასკნელს უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გარკვეული თემები. წინამდებარე წესში ფაქტობრივად უკანა პლანზე ინაცვლებს დარგის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი, არა და ზემოხსენებული პირებს უნდა უკავშირდებოდეს უწინარეს ყოვლისა საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება და მათ მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ფაქტობრივად იქნება აკადემიური თავისუფლების რეალიზაციის პირველი ეტაპი.

რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, ეს არის ფაქტობრივად შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაკვირვების, შეფასების, ანალიზის, ინტერპრეტაციის პროცესი, რომლის საბოლოო პროდუქტი თვითშეფასების ანგარიში უნდა მზადდებოდეს ამ პროგრამით დაინტერესებული ფართო წრეების მიერ. საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და

პორთფოლიოში მოცემულ შემთხვევაში ანალიზური ნარატივი მინიმალურია და გადაფარულია დესკრიფციით.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას კურირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოფისი სრულიად საუნივერსიტეტო სივრცეში, სამსახური ქმედითად ცდილობს აქტიური გახადოს შიდაშეფასების პროცესები, რაც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდანაც ნათლად ჩანს. სამსახურს შემუშავებული აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგების შეფასებისათვის. ერთიანობაში ექსპერტებს მიეწოდა მოცემული მეთოდოლოგიით მომზადებული მრავალფეროვანი მატრიცები (მათ შორის: *სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, მიზნებისა და სწავლის შედეგები რუკა*), რომელთა შესწავლის შემდგომ დარგის ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ცალკეული ხარვეზები, რაზეც ცალკეული დეტალების ანალიზით მსჯელობა დაფიქსირდა 1-4 სტანდარტებში. ექსპერტთა ანალიზის მიხედვით წინამდებარე შეფასების მატრიცებს ესაჭიროება კორექტირება. მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ხარისხის მექანიზმების გაზიარება მნიშვნელოვანია ღრმად ინსტიტუციურ დონეზე, ვინაიდან სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე რელევანტური ანალიზის მომზადება ყველაზე ეფექტურად ძალუძს დარგობრივ გუნდს.

დაწესებულებას ასევე გათვლილი აქვს ყველა ის მექანიზმი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ინდიკატორების საფუძველზე ხელს უნდა უწყობდეს შიდა ხარისხის განვითარებას. საუნივერსიტეტო მარეგულირებელში: ***ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება*** დეტალურადაა აღწერილი სამსახურის ამოცანები, რაც რეალიზებულია სამსახურის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მექანიზმების ჩამონათვალი დეტალურად ასახავს სტანდარტის თემატურ პუნქტებს და შესაბამის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე დოკუმენტი პარალელურად მიყვება ყველა საუნივერსიტეტოს სიახლეს და ამ უკანასკნელს შეფასების პრიზმაში ანალიზებს (ამის დასტურად შესაძლებელია დასახელდეს უკანასკნელ გამოწვევებზე დაყრდნობით შემუშავებული მე-11 მუხლი, სადაც აღწერილია საკუთრივე ელექტონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.). აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული *სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესებშიც*. თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია ასევე მარეგულირებელი: ***კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა***. წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით უნივერსიტეტს გაცხადებული აქვს კვლევითი საქმიანობის სამი ფუნდამენტური მიმართულება *ფუნდამენტური, გამოყენებითი და პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნობრივი კვლევები*. რაც შეეხება კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას, გამომდინარე უსდ-ს კვლევითი რაკურსიდან, ის ემყარება როგორც საკუთრივ აკადემიური პერსონალის ყოველწლიურ ანგარიშებს, ისე აბსტრაქტებისა და ციტირების მონაცემთა ბაზებიდან მიღებულ პირველად ინფორმაციას, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემებსა და ანგარიშებს, ისევე როგორც აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭრილ და უცხოელ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფონდებთან ერთად დაგეგმილი პროექტების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზს, რომლის საფუძველზე მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები.

უსდ-მ წარმოადგინა ასევე კითხვარების ფორმები, მათ შორის: *სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლის, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორის კმაყოფილების კითხვარები*, ასევე გამოკითხვის ნიმუშები უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების ფარგლებში, კონკრეტული კრიტიკული მოსაზრებების თაობაზე რეაგირების დოკუმენტი (რაც მნიშვნელოვანია საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით!). ანალიზები სოლიდურია და ორიენტირებული განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ უსდ ანალიზის შემდგომ გეგმავს კონკრეტულ ღონისძიებებს სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განმახორციელებელთა მიერ მომზადდა კურიკულუმების შედარებითი ანალიზი როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ, ისე უცხოეთში მოქმედი შერჩეული კურიკულუმების მიედვით. შედარების პროცესში შეირჩა ქართული უსდ-დან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხოლო უცხოური უნივერსიტეტების კურიკულუმებიდან დასახელებულია: ფლორიდის

<p>უნივერსიტეტი, ბუდაპესტის მეტროპოლიტანის უნივერსიტეტი და ევროპული დიზაინის ინსტიტუტის. ანალიზის დოკუმენტში იკითხება, რომ ქართული პროგრამა შედგენილია უცხოურების ერთი მხრივ, 90%-იანი, ხოლო მეორე მხრივ, 70%-80% და 80-85% დამთხვევით. მოცემული შედარებით ანალიზის დასკვნაში იკითხება, რომ <i>“საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოკვლევებმა გაგვიჩინა მოტივაცია დაგვემატებინა საგანი გრაფიკული დიზაინი და არჩევითი საგნებიდან სოციოლოგია, ფილოსოფია, გადმოგვეტანა სავალდებულო საგნებში. საოფისე კომპიუტერული პროგრამები და აკადემიური წერა საგნები შეიძლება დაემატოს, როგორც არჩევითი კომპონენტი პროგრამას უახლოეს მომავალში.”</i> აღსანიშნავია, რომ ანალიზის მატრიცაში ქართული უნივერსიტეტებიდან ხილვადია მხოლოდ შედარებითი მონაცემები თავისუფალი უნივერსიტეტის კურიკულუმებთან და არსად არ ფიქსირდება თსუ-სა და ილიას უნივერსიტეტების მონაცემები. მოცემულ ანალიზურ მასალასთან კოკრეტული მოსაზრებები ჩამოუყალიბდათ დარგის სპეციალისტებსაც, რაც წარმოდგენილია სტანდარტების შესაბამის დარგობრივ კომპონენტების განმარტებით ნაწილში.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გარკვეულწილად სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებაში. ინტერვიუებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები პროგრამის ინიცირებიდან ვიდრე თვითშეფასებამდე, რამაც შეავსო ცალკეული დასაზუსტებელი საკითხები, რაც ბუნდოვნად აღიქმებოდა წარმოდგენილ პროგრამის თანმხლებ მასალებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შეფასების მეთოდოლოგია; • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება; • <i>კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროფუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა;</i> • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • შედარებითი ანალიზი ბაზარზე მოქმედ პროგრამებთან (ბენჩმარკინგი); • ბაზრის კვლევა; • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მნიშვნელოვანია სტუდენტთა მონაწილეობა თვითშეფასების პროცესში, მიუხედავად იმისა პროგრამა გადის აკრედიტაციისა თუ რეაკრედიტაციის პროცესს, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა ქმედით მონაწილეობას უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებასა და მაქსიმალურ გაზიარებაში; • თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობას;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია ხარისხის მარეგულირებელ დოკუმენტში წინ წამოიწიოს პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში აკადემიური პერსონალის მნიშვნელობამ; • სასურველია დაწესებულებამ შეფასების პროცესების ამსახველ დოკუმენტებში წარმოადგინოს ანალიზური და სარეკომენდაციო ნაწილიც, რომლის საფუძველზე იგეგმება პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რათა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა კვლევების ეფექტურობაზე; • სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ შრომის ბაზრის გაღრმავებული კვლევა კონკრეტული წინასწარშემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი სკურპულოზურად უდგება ხარისხის მექანიზმების ქმედითობას უნივერსიტეტის ფარგლებში. გარდა ხარისხის შიდა შეფასებისა, ის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარე შეფასების საკითხს საუნივერსიტეტო სივრცეში. მოცემული პროგრამა ახალი და მისი გარე შეფასება პირველად მიმდინარეობს ექსპერტული დაკვირვების ფარგლებში. თუმცა გარკვეულწილად საკუთრივ უნივერსიტეტს მისი გარე შეფასების მიზნით გარკვეული მექანიზმები აქვს ამუშავებული. პირველ რიგში უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა ფართო სპექტრის გამოკითხვები. მოცემული პროგრამის მიმართ მსგავსი მცდელობა ვერ დაფიქსირდა, სანაცვლოდ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა სანიმუშო ეგზემპლარები, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ანალიზის შედეგები უკვე მოქმედ პროგრამებზე, დაფიქსირდა ასევე ის ფაქტიც, რომ გამოკითხვებს რეალურად რეგულარული ხასიათი აქვს. დაწესებულებაში ასევე ფიქსირდება პრობლემური საკითხის გადაჭრის ცალკეული აქტივობები, კერძოდ, წარმოდგენილი იყო ასევე იმ ღონისძევათა მატრიცა, რაც დაიგეგმა გამოკითხვების შედეგად მიღებული კომენტარების ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამა გარე შეფასების მიზნით წარდგენილი იყო დარგის ორ ექსპერტთან, რაც თანდართულ პორტფოლიოში იყო წარმოდგენილი. დარგის ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ დარგის ექსპერტთათვის მიწოდებულ იყო მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამა და არა სრული პორტფოლიო, შესაბამისად, აღარ იყო მოულოდნელი, რომ ორივე დასკვნა მეტისმეტად სქემატური იყო, კერძოდ, ორივე დასკვნა თითქმის იდენტურად აღიქმებოდა და ვერ ქმნიდა სრულყოფილ წარმოდგენას საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ დეტალებზე. დასკვნის ტექსტი შედგებოდა რამდენიმე ბლოკისაგან, კერძოდ, შესავალი, საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა, დარგის სპეციალისტების აუცილებლობა შრომითი ბაზრისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ვალიდურობა მის მიზნებთან და შედეგებთან. მოცემულმა სქემამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ დაწესებულებას აქვს კონკრეტული სქემა შეფასებისთვის, რაც შეთავაზებულ იყო ექსპერტებისთვის. სხვა მხრივ შეუძებელია დარგის ორი მაღალი რეპუტაციის მქონე სხვადასხვა ექსპერტის მიერ წარმოდგენილ შეფასებას თითქმის იდენტური ფორმალური და შინაარსობრივი ფორმატი ჰქონოდა.

სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი გადაეცეს უცხოელ დარგის ექსპერტებს (გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგიური პროგრამები მინიმალურია.) გარე შეფასების მიზნით, მით უფრო, რომ პროგრამის შემუშავებელ გუნდს ამ ეტაპზე უკვე ნამუშევარი აქვთ ანალოგიური პროგრამების შესწავლასა და ანალიზზე, შესაბამისად, მათთვის ცნობილია უკვე დარგის ის ექსპერტები, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიციური ექსპერტირება გაუწიონ ქართველ კოლეგებს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში ცხადი გახდა, რომ პროგრამის პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და დამსაქმებლები მეტ-ნაკლებად ჩართულნი არიან აკადემიურ პროცესებში, თუმცა მათ ჰქონდათ ზედაპირული წარმოდგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამის სრულ პაკეტზე (იგულისხმება პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები

- შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარე შეფასების მეთოდოლოგია და გარე ექსპერტთათვის მიწოდებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სრული პორტფოლიო (პროგრამა, სასწავლო გეგმა, სილაბუსები), რათა ექსპერტმა შეიქმნას სრულყოფილი წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისთვის და ქართულ შრომით ბაზარზე დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების კურსდამთავრებულთა გუნდის შესაქმნელად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში შპს-კავკასიის უნივერსიტეტი მიმართავს მონიტორინგს, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეალურ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ვითარებაზე. წინამდებარე პროცესების განხორციელებაში ლიდერპოზიციას წარმართავს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულების მენეჯმენტის აქტიური ჩართულობით. პროგრამის ხელმძღვანელის თვითშეფასების ანგარიშები, პროგრამის განმახორციელებელი და პროგრამაში ჩართული სტუდენტების, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში კი კურსდამთავრებულთა, ისევე როგორც სხვა გარე დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა და გამოკითხვების შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაკვირვების და მონიტორინგის პროცესების განხორციელების.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. მონიტორინგის პროცესში შეფასების პროცესი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს და მოცემული აქტივობაში სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენება. შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გუნდს გამოაპირობოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოხდეს მისი გაზიარება აკადემიურ პერსონალთან, დაიგეგმოს გასაუმჯობესებელი აქტივობები.

მონიტორინგის პროცესი წინამდებარე პროგრამასთან დაკავშირებით ვერ დადგებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. აკრედიტაციის პროცესში დაგეგმილი ინტერვიუების ფორმატში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შედგა ინტერვიუ, სადაც სამსახურის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი წინამდებარე პროცესები და განმარტებული. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა ცალკეული აკადემიური პროცესების კიდევ უფრო მკაფიოდ შესწავლის მიზნით, თუ სამსახური შეიმუშავებდა მონიტორინგის კონკრეტულ მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებში გამოყენებული იქნება შიდა და გარე შეფასების უსდ-ს მიერ დამკვიდრებული აქტუალური მექანიზმები, რაც დამატებით ხელს შეუწყობდა პროგრამის მიზანმიმართულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და შედეგები;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიმდინარე პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით, ინსტიტუციის ფარგლებში შემუშავდეს მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელსაც პერიოდულად დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნინო ქიმერიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ნინო ლიპარტელიანი



შოთა დოგრაშვილი



ქეთევან ოჩხიკიძე

